# ხელშეკრულება №27
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი 10 ივნის 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება N12 საბავშვო ბაგა-ბაღი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის ელენე დავითაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ თეიმურაზი რომელაშვილის (შემდგომში„მიმწოდებელი") სახით ეხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ეზოს დასუფთავების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: CPV-90900000

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ას ) ლარს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისთვის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 17 ივნისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და შესაბამისი დოკუმენტი).

## 6. ანგარიშსწორების ფორმადა გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარი).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2016 წლის 1აგვისტომდე.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბაღის დირექტორი – ელენე დავითაშვილი

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

...ენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან ...რებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს ...დებლობით დადგენილი წესით.

**სხვა პირობები**

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის
სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
N12 საბავშვო ბაგა-ბაღი
მის: ქ.გორი, ხერხეულიძის ქ. 15
ს/კ: 218078201
ბანკი: სს ". ლიბერთი ბანკი"
ა/ა: GE29LB0120158200634000

დირექტორი: ელენე დავითაშვილი

218078201

„მიმწოდებელი":

ფ/პ. „თეიმურაზი რომელაშვილი"
მის: ....................................
ს/კ-პ/ნ 59001040504
ბანკი: სს " ლიბერთი ბანკი"
ა/ა: GE71LB0711105518877240

ფ/პ თეიმურაზი რომელაშვილი

# მიღება-ჩაბარების
# ა ქ ტ ი

ქ. გორი

10 ივნისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება N12 საბავშვო ბაგა-ბაღი, მისი დირექტორის ელენე დავითაშვილის სახით, „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ ფ/პ ,,თეიმურაზი რომელაშვილი" სახით, „მიმწოდებლად" წოდებული ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 10 ივნისს დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები „მიმწოდებელმა" შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

ღირებულებამ შეადგინა –100 (ასი) ლარი.

„მიმწოდებელი"

ფ/პ თეიმურაზი რომელაშვილი

/ფ/პ თეიმურაზი რომელაშვილი/

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება N 12 საბავშვო ბაგა-ბაღი

/ელენე დავითაშვილი/